FROM THE TREASURE OF IKOTI VILLAGE OF KSANI VALLEY

ქსნის ხეობის სოფელ იკოთის საგანძურიდან

David Akhlouri
Doctor of History
Associate Professor of Gori State University,
Gori, Georgia
ORCID ID: 0000-0002-1068-4042
datoakhlouri@gmail.com +995568990779

Abstract

The Ksani valley is one of the outstanding corners of Georgia with its rich historical past, archeological material, architectural monuments and national treasures that once existed there. Akhalgori treasure found in Nasoflar Gedeskar was enough to illustrate all this. Yulon Gagoshidze considered the items accidentally discovered during earthworks on Samarovan, washed away by the overflowing river, to be the most important archaeological monuments in the history of Georgia. Give Akhalgori's treasure to any unfortunate nation and that nation will have history - ordered Niko Ketskhoveli. The past of the village of Ikoti, located near Akhalgori, and the national treasure of our country present there also indicate the important role of Saeristavo of historical Ksani in the political, economic and cultural life of Georgia. An earring with silver rays and a bronze pendant found in this ancient village of Kartli, which are kept in the State Museum of Georgia, date back to the Bronze Age...

In the work, attention is mainly paid to the architectural monuments located in Ikoti, the hall church of St. George of Akhshadi of the transition period, the churches of St. Barbara and St. Marine of the late middle ages, the ancestral tower of the Mourav Fitskhelauri and the summer palace of the nobles of Ksani... their role in the political, religious and ethnographic existence of Saeristavo is analyzed. . Information about the holy icons, church items, and inscriptions that have reached us have been searched. The name of the village, which should be related to the man's own name, is explained.

Many famous figures visited the Phitskhelauri village: Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Shio Aragvispireli, Galaktion Tabidze, Giorgi Leonidze, Ekvtime Takaishvili... Ekvtime traced many important historical sources in Ikoti. The paper analyzes the historical and national value of the deed-gujars and handwritten books found here.

Key words: Ksani valley, Mouravi, palace of Ksani nobility, churches-monasteries, castle-towers, holy icons, church treasures, deed-gujres.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
გორი, საქართველო
ORCID: 0000-0002-1068-4042
(+995)568990779; datoakhlouri@gmail.com

აბსტრაქტი

ქსნის ხეობა საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, არქეოლოგიური მასალით, ხუროთმოძღვრული ძეგლებითა და იქ ოდესღაც არსებული ეროვნული საგანძურით. ამ ყველაფრის საილუსტრაციოდ თუნდაც მხოლოდ ნასოფლარ გედესკარში მიკვლეული ახალგორის განძი იკმარებდა. ადიდებული მდინარისაგან ჩამორეცხილ სამაროვანზე, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლად მიიჩნევა. მიეცით რომელ უწარსულო ერსაც გნებავთ ახალგორის განძი და ამ ერს ისტორია ექნებაო – ბრძანა ნიკო კეცხოველმა. ისტორიული ქსნის საერისთავოს უმნიშვნელოვანეს როლზე საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგორის სიახლოვეს მდებარე სოფელ იკოთის წარსული და ეკლესია-მონასტრებში დაცული ჩვენი ქვეყნის ეროვნული საგანძურიც მიგვანიშნებს. ქართლის ამ უძველეს სოფელში აღმოჩენილი ვერცხლის სხივებიანი საყურე და ბრინჯაოს საკიდი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ბრინჯაოს ხანით თარიღდება.

ნაშრომში, ძირითადად ყურადღება ეთმობა იკოთში მდებარე ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, გარდამავალი ხანის ახშადის წმინდა გიორგის დარბაზულ ეკლესიას, გვიანი შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს და წმინდა მარინეს ეკლესიებს, მოურავ ფიცხელაურების საგვარეულო კოშკსა და ქსნის ერისთავთა საზაფხულო სასახლეს... გაანალიზებულია მათი როლი საერისთავოს პოლიტიკურ, რელიგიურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაში. მოძიებულია იქ არსებული წმინდა ხატების, საეკლესიო ნივთების, წარწერების შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები. განმარტებულია სოფლის სახელწოდება, რომელიც მამაკაცის საკუთარ სახელს უნდა უკავშირდებოდეს.

ბევრი ცნობილი მოღვაწე იმყოფებოდა ფიცხელაურების სოფელში სტუმრად: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, შიო არაგვისპირელი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ექვთიმე თაყაიშვილი. ექვთიმემ იკოთში არაერთ მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს მიაკვლია.

საკვანძო სიტყვები: ქსნის ხეობა, მოურავი, ქსნის ერისთავთა სასახლე, ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, წმინდა ხატები, საეკლესიო საგანძური, სიგელ-გუჯრები.

შესავალი

იკოთი ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მიერაა ოკუპირებული, მდებარეობს ახალგორის ჩრდილოეთით, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 3 კილომეტრის დაშორებით. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, რომ ბრინჯაოს ხანიდან უკვე დასახლებული იყო, თუმცა ისტორიულ წყაროებში პირველად XVII საუკუნიდან იხსენიება. 1669 წლის წილკნის სარგოს სიგელის მიხედვით იკოთი ქსნის საერისთავოს იმ სოფლების რიგშია, რომლებიც წილკნის საეპიკოპოსოში შედიოდა (ჯავახიშვილი, 1974: 37).

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში იკოთი მოხსენიებული უნდა იყოს იკუდის სახელწოდებით, რომელიც ეკუთვნის შანშე ქსნის ერისთავს. იქვე მითითებულია სოფელი იკორთაც (არცევის თემი, ერედვის მუნიციპალიტეტი). იგი ასევე ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო ფეოდალურ ხანაში.

თურქული დავთრის მიხედვით იკუდში (იკოთში) 9 კომლია დაფიქსირებული. აღწერიდან ჩანს, თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ იკოთელები XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. მარცვლეული კულტურებიდან მათ მოჰყავდათ: ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მისდევდნენ მესაქონლეობას, მეღორეობას, მეფუტკრეობას (თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009: 421).

ქსნის საერისთავოს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქსნელი აზნაურები, ფიცხელაურები, რომლებიც წარმოშობით ხევსურეთის სოფელ ბაცალიგოდან არიან გადასახლებული ჯერ გუდამაყრის სოფელ ბაკურხევში, მოგვიანებით კი კახეთის სოფლებში, თიანეთში, ხევში, საიდანაც ქსნის ხეობაში დაემკვიდნენ. 1754 წლის 23 იანვარს, დავით ქსნის ერისთავის ბრძანებით, ახალგორის მოურავად ინიშნება აზნაური არჯევან ფიცხელაური (საქართველოს სიძველენი, 1909: 455). დავითის სიგელიდან ჩანს, რომ ფიცხელაურებს ადრეც ჰქონდათ ბოძებული ახალგორის სამოურავო (ისინი რომ წარჩინებული გვარიდან იყვნენ, ამას წილკნელის 1669 წლის გუჯარიც ცხადყოფს)... არჯევანი გახლდათ ქსნის სათავეებთან მდებარე ჟამურის ხეობის მოურავიც. იგი ფლობდა დიდძალ მიწებს, საიდანაც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა.

ფიცხელაურები ვერ ეგუებოდნენ ერისთავთა ბატონობას და ხშირად უპირისპირდებოდნენ. 1777 წელს, როცა ქსნის საერისთავო გაუქმდა, ამ საქმეში ერეკლე მეფის ერთგულ მხარდამჭერთა შორის ფიცხელაურებიც ყოფილან, რაც სათანადოდ უფასდებოდათ. ფიცხელაურთა სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი ზურაბი, გიორგი ბატონიშვილის 1778 წლის წყალობის წიგნით, იღებს ქსნის ბოქაულთუხუცესობას, ასევე ჭურთის ხეობისა და წირქოლის მოურავობას (სეასცა, ფ. 229, საბ. № 111). არჯევანს კი მოურავობასთან ერთად ქსნის სახლთუხუცესობა ებოძა (სეაცსა, ფ. 229, საბ. № 107).

იკოთის დემოგრაფიული და სოციალური ურთიერთობების შესახებ ვრცელი ცნობები მოგვეპოვება XVIII-XX საუკუნეების მოსახლეობის აღწერებიდან. XVIII საუკუნის 70-იან წლებში იკოთის მცხოვრებთა შორის გამოკვეთილია გლეხთა რამდენიმე კატეგორია, ძირითადი ნაწილი - მსახურია (22 კომლი), ასევე ვხვდებით ბოგანოებს, ხიზნებს. მსახურთა ინსტიტუტი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოში, იგი ჩვეულებრივ გლეხზე უფრო დაფასებული ჩანს. მსახურის ძირითადი მოვალეობა გახლდათ ლაშქრობისა და ნადირობის დროს მებატონის გვერდით ყოფნა და ძღვენის მირთმევა: „არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა... არაფერი ღუთის განაჩენი ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას საბელი არ ათხუო" - ვკითხულობთ რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩაშვილისადმი გაცემულ XVII საუკუნის სითარხნის წყალობის წიგნში (დოკუმენტები, 1940: 20). ანუ, შეიძლება ითქვას, რომ იკოთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი შედარებით პრივილეგირებულ გლეხთა კატეგორიიდან იყო, რადგან მსახური შეძლებულ გლეხს უტოლდებოდა. მას მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობისა და თავადის კარზე სამსახური უნდა გაეწია.

აღსანიშნავია, რომ იკოთში ოდითგანვე მკვიდრობდა ქართული მოსახლეობა, რომლებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. XXI საუკუნის დასაწყისში, 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, იკოთის მცხოვრებთა რიცხვი 1089 ადამიანს შეადგენდა, 542 მამაკაცი, 547 ქალი, მოსახლეობის 97 % ქართველი იყო, რაც დაფიქსირებულია 2003 წ. თბილისში გამოცემულ წიგნში საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II. (გვ. 118). ბოლოს აქ ცხოვრობდნენ: გიგაურები, ზანგურაშვილები, ბაშარულები, ნიაურები, გიგნიაშვილები, მამამთავრიშვილები, ფსუტურები, ფიცხელაურები, ოსიშვილები, გვრიტიშვილები, თორელაშვილები, გუთნიაშვილები, ჯანგირაშვილები, მელთაურები, მემარნიშვილები, მახარაშვილები, ბუნტურები, წახილოვები, დოლიშვილები, ჭიხინაშვილები, იმნაძეები, გელაშვილები, ქაწაშვილები, ჩიტაშვილები, მაწიაშვილები, ქუტაშვილები, გოგებაშვილები, ჩოხელები, ილურიძეები, ჩოჩელები, ჯანაშვილები, ნათაძეები, მანჯიკაშვილები, გურწიშვილები, ქუძიევები, ბარისოვები და სხვები (ახლოური, 2023 ა: 98).

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ იკოთის ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და იქ არსებული საგანძურის შესახებ წყაროების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ქსნის ხეობის ეკლესია-მონასტრებისა თუ ციხე-კოშკების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია მოღწეული, მათ შორის უნდა აღინიშნოს, ექვთიმე თაყაიშვილის, პარმენ ზაქარაიას, სერგი მაკალათიას, ჯონდო გვასალიას, ვახტანგ ბერიძის, რუსუდან მეფისაშვილის, ვახტანგ ცინცაძის, ვლადიმერ ღუნაშვილის, ვიტალი ქენქაძის, ნინო ერისთავისა და სხვათა ნაშრომები, სადაც საუბარია ხუროთმოძღვრული ძეგლების ქტიტორებზე, აგების პერიოდზე, არქიტექტონიკაზე, თავგადასავალზე, ისტორიულ და რელიგიურ დანიშნულებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1974-1990 წლებში, საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ მოწყობილი ინტენსიური საველე ექსპედიციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, რომელიც მიზნად ისახავდა ხუროთმოძღვრული ძეგლების აღრიცხვა პასპორტიზაციასა და ფიქსაციას, ამ მიზნით შესწავლილი იქნა ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული ძეგლებიც, რაც აისახა 2008 წ. თბილისში გამოცემულ წიგნში „ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა“, ტ. IV. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემთვის, როგორც ქსნის ხეობის მკვიდრისთვის, მშობლიური და ახლობელი იყო თითოეული სოფელი, იქ მდებარე სალოცავები, ციხე-კოშკები, მოსახლეობის რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, რაც გარკვეულ წილად მიადვილებს ჩვენამდე მოღწეული ვრცელი მასალის კიდევ უფრო გავრცობასა და არაერთი ფაქტის ახლებურად წარმოჩენა-დაზუსტებას.

ნაშრომში მოძიებულია ცნობები იკოთის წარსულის, სოფლის ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკებისა და სხვა ისტორიული ნაგებობების შესახებ, მითითებულია მათი ადგილმდებარეობა და დანიშნულება. შესწავლილია ეპიგრაფიკული მასალა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოფლის სალოცავებსა და მოსახლეობაში შემონახულ ეროვნულ საგანძურს, რომლის დიდი ნაწილიც საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილმა გადაურჩინა. საუბარია იკოთში დიდი ქართველი მწერლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, შიო არაგვისპირელის, გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის სტუმრობის შესახებ.

მსჯელობა

სოფელ იკოთში მდებარე ხუროთმოძღვრულ ძეგლებიდან აღსანიშნავია გარდამავალი ხანის ახშადის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელიც გეგმით მართკუთხა მოხაზულობისაა და დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა აგებული, სამხრეთით და დასავლეთით მინაშენები აქვს. თაღოვანი სარკმელი საკურთხეველშია გაჭრილი. სარკმელთან მასიური ტრაპეზის ქვაა, მის წინ კი ქვის კანკელია მოწყობილი. „ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. გრძივი კედლები ორსაფეხურიანი, წყვილი პილასტრებით, ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. კამარის საბჯენი თაღები პილასტრების მარტივი ფორმის კაპიტელებს ეყრდნობა. ასეთივე თაღი დასავლეთ კედელზეც გადადის. დარბაზის კედლებს ხარისხი შემოუყვება.

ეკლესია ნათდება სამხრეთით ორი, დასავლეთით კი ერთი თაღოვანი სარკმლით; არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი.“

ეკლესიის აღმოსავლეთით ფლეთილი ქვით ნაგები ორსართულიანი სამრეკლოა. პირველი სართული გეგმით სწორკუთხა ღია თაღოვანი ნაგებობაა, შუაში სამმაგლილვიან იმპოსტებს დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღია. მეორე სართულზე ასასვლელი არ იკვეთება, „ჩანს მხოლოდ ოდნავ შეისრული თაღები“. ეკლესიისა და სამრეკლოს გარშემო გალავანია. გალავნის შიგნით ასევე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ფრაგმენტებია შემორჩენილი (ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2008: 94).

წმინდა მარინეს სახელობის დარბაზული ეკლესია ძველ სასაფლაოზე მდებარეობს. „გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი.

აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით მოთავსებულია წყვილი, შეისრულთაღიანი ნიშა. კობქი სფერულია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედელში შეისრულთაღიანი ნიშებია მოწყობილი. დასავლეთ კედელში შესასვლელის ორივე მხარეს - თაღოვანი ნიშებია. დარბაზი ნათდება სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის თაღოვანი სარკმლებით.

დასავლეთ და სამხრეთ კედლებში თაღოვანი შესასვლელებია“ (ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2008: 97).

ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში მოთავსებულ მარმარილოს ფიქალზე მხედრული წარწერაა, რომელიც მცენარეთა ორნამენტებითაა მორთული.: „ქალწული მოწამე, წმიდა ესე მარინა, მეოხი ჩვენდა. განმაახლი ეკლესიისა მეფის სძალი, წერეთლის ასული ქეთევან გვედრებ? მწე მყავ მეუღლითურთ და აღსაზრდელად ძის ჩვენის გრიგოლისა, ქორონიკონს უპვ" (ოთხმეზური, 1996: 155). გიორგი ოთხმეზურის აზრით „წარწერა შესრულებულია იმავე ხელით, როგორითაც იკოთის 1798 წლის საამშენებლო წარწერა და იმავე პერიოდით უნდა დათარიღდეს“, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი წარწერის თარიღად 1797 წელს უთითებს:

1. ქალწულო მოწამე. წ˜ა ესე მარინა.
2. მეოხი ჩვენდა. განმახლი ეკლესიის
3. მეფისა სძალი. წერეთლისა ასული.
4. ქეთევან გედური (sic) მწე მეყავ მეუღლითურთ
5. და აღსაზრდელად ძის ჩვენის გრიგოლისა, ქ˜კს უ. პ. ე."

როგორც ვხედავთ, ე. თაყაიშვილისეული წაკითხვა „გედური“ გ. ოთხ_ მეზურმა წაიკითხა როგორც „გვედრებ“.

ქეთევან წერეთელი გახლდათ იოანე ბატონიშვილის მეუღლე, რომელსაც განუახლებია ეკლესია. ასევე XVIII საუკუნის ბოლო პერიოდითაა დათარიღებული მარმარილოს ფილაზე შესრულებული 7 სტრიქონიანი მხედრული წარწერა, რომელიც მაგდან კორინთელის ეპიტაფიაა და იკოთის ეკლესიის მცველთან ინახებოდა: „მომიხსენე მე უფალო საფლავსა მდებარე მხევალი შენი აზნაურ დავით კორინთელის და ნანას ასული მაგდან - თხუთმეტი წლისა მოვშორდი ამიერ წუთისოფელს... სიცოცხლეს მხილველი... სიკვდილის..." პროფ. გ. ოთხმეზურის აზრით აღნიშნული

ეპიტაფიაც 1798 წლით უნდა დათარიღდეს (ოთხმეზური, 1996: 155). კორინთელები წარმოშობით ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ კორინთიდან იყვნენ, რომელიც მდებარეობის იკოთის ჩრდილოეთით. მისმა მდებარეობამ განსაზღვრა IX-X საუკუნეებში ძლიერი ფეოდალური გვარის კორინთელების აღზევება. ვახუშტი ბატონიშვილი კორინთელებს მოიხსენიებს ძველ მთავართა გვარებს შორის (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 28). ასევე მოხსენიებულნი არიან საქართველოს აზნაურობის ოფიციალურ სიაში, რომელიც შეტანილია 1850 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ და დამტკიცებულ ე.წ. „ბარხატნაია კნიგაში" (ხავერდოვანი წიგნი). კორინთელები ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა სოფელში. ისინი XVIII საუკუნეში ლეხურის ხეობაში აარსებენ სოფელ საკორინთლოს, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის თემს ეკუთვნის და კასპიდან 16 კილომეტრითაა დაშორებული... კორინთლიანთ სოფელს უწოდებდნენ ასევე ილტოზას (ახლოური, 2023 ბ: 27-28).

სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა აშენებული წმინდა ბარბარეს ეკლესია. გვიანი შუა საუკუნეების სწორკუთხა მოხაზულობის დარბაზული ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილს ასიმეტრიული ფორმის ნახევარწრიული აბსიდი ასრულებს ცენტრში თაღოვანი სარკმლით. სარკმლის ძირში მა_ სიური სატრაპეზოო ქვაა, ხოლო სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებზეა დაყრდნობილი. სამხრეთით და დასავლეთით გაჭრილია სწორკუთხა სარკმლები, შესასვლელი კარი სამხრეთითაა (ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2008: 95).

სოფლის სასაფლაოზე წმინდა გიორგის სახელობის კიდევ ერთი ტაძარია აგებული. იგი თავის დროზე ბერ-მონაზონთა სიმრავლით ყოფილა გამორჩეული, რის გამოც ტაძრის ტერიტორიას შაოსანთა მთას ეძახდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეკლესია დაიკეტა, გუმბათი დაუნგრევიათ (ცაგურიშვილი, 2007). მოსახლეობის ძალისხმევით, წმინდა გიორგის ტაძარი დღეს აღდგენილია.

ფიცხელაურების სათავადაზნაურო, საგვარეულო კოშკი საცხოვ-რებელი იყო. აგებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. ჩვენამდე სამი სათულის დონეზე მოღწეული კოშკის პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისთვის ყოფილა განკუთვნილი. აღმოსავლეთით ჰქონიათ ბუხარი, რომელიც შემდგომ ამოუშენებიათ. ჩრდილოეთ კედელში თა-ღოვანი და არქიტრავული ნიშებია მოწყობილი, თაღოვანი ნიშაა განთავ-სებული სამხრეთ კედელშიც. შესასვლელი და მეორე სართულთან დამა-კავშირებელი კიბე სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია. პირველი სართულის კამაროვანი გადახურვისას გამოყენებულია ქართული აგური, რომელიც შემდეგ „შებათქაშებულ-შეთეთრებულია". კამაროვანია მეორე სართულის გადახურვაც. დასავლეთ კედელში განთავსებული შესასვლელის სამ-ხრეთით სწორკუთხა ნიშაა, ხოლო ჩრდილოეთით - შეისრული ფორმის. ჩრდილოეთ კედელში დატანებულია სათოფურები. აღმოსავლეთ კედელში თაღოვანი ბუხარია გვერდით შეისრული ნიშებით, რომლებშიც ასევე სა-თოფურებია გაჭრილი. მესამე სართულის კედლები ჩამოშლილია, თუმცა მეორე სართულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია მესამე

სართულთან დამაკავშირებელი კიბე (ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2008: 96).

იკოთში არსებულ ეკლესიებში არაერთი ძვირფასი ნივთი იყო დაცული, მათ შორის წმინდა ხატები, რომელიც თავის დროზე აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა. წარწერებმა შემომწირველთა ვინაობაც შემოგვინახეს, ისინი, ძირითადად, სოფლის მკვიდრნი იყვნენ, რომლებიც XVIII-XIX სს.-ში მოღვაწეობდნენ. წარწერებში ვკითხულობთ:

„ქ: მე აკოფას: წმიდის გიორგის: ხატი: გ(ა)მიკეთია:. ესეც:. ჩემი:. ხელია:." (XVIII საუკუნე).

აკოფას ხატი დაუმზადებია იკოთის მკვიდრთა შეკვეთით:

„ქ. ნიაური. ბერი. იკოტის.

ქ. ბასი. ბაშ(ა)რული.

ქ. გედია გრიტის. შვილი. (გვრიტიშვილი - დ.ა).

წმინდი გიორგისია."

„ესე ჯ̃ვარი გავაკეთებინე დვალიშვილმა გიორგიმა და შვილმა ჩემა ზაქარამა ჩემი შვილების სადღეგრძელოთ. ახშადის წმიდია (sic) გიორგის".

„ქ. გუგუნაშვილი დავითის (sic) მეუღლემ შემოგწირე ნინომ ხატი ესე ღვთაებისა ძეთა მოსაცემლათ და სულთა ჩემთა" (XIX საუკუნე).

„შამოგწირე ღვთის მშობლის ხატი ესე წმინდა მარინეს ნინიკა გიგაურმა მეოხად სულისა ჩემისა". (1830 წლის ღვინობისთვე).

„წელსა 1828 შემოგწირე ხატი ესე წ˜ის მარინას ეკლესიას სვიმონმა გიგაურმა სულისა ჩემისა საოხად".

„შემოგწირე წმინდა გიორგის იკოთისას ბესო გიგაურმა წელსა 1877"

„ქ:. მე გამიკეთებინებია. ბერს. გიგაურს. ელიზბარის. გვრიტიშვილს ივანე. გიგაურს. ჩვენი ნათეობით (sic) წმინდა გიორგის. თეთრით. იკოთის. წმინდა. გიორგისთვის. მისხალი: ნ."

ბერი ნიაური, ბასი ბაშარული, გედია გვრიტიშვილი, გიორგი და ზაქარა დვალიშვილები, დავით გუგუნაშვილი და მისი მეუღლე ნინო, ნინიკა, სიმონ, ბესო, ბერი, ივანე გიგაურები, ელიზბარ გვრიტიშვილი... იკოთის ეკლესია-მონასტრებს, ძირითადად, ვერცხლისგან დამზადებულ სიწმინდეებს უძღვნიდნენ მათი და მათი შვილების სულების საოხად. (Такаишвили, 1915: 59-65). კომუნისტური მმართველობის პერიოდში, სამწუხაროდ, ბევრი რამ განადგურდა, მათ შორის ტაძრების მოხატულობა. იკოთში მცხოვრები ნიკოლოზ ფიცხელაურის გადმოცემით, წმინდა მარინეს ეკლესიიდან ხატები გამოუტანიათ და ზოგისთვის ტყვია უსვრიათ, ზოგი ქვებით დაუჩეჩქვავთ. „ორმოცი წელიწადი შინ ვინახავდი ამ ტაძრის ზარს. მერე გავიტანე და ჩამოვკიდე... კარგად მახსოვს წმინდა მარინეს ტაძარში წირვა, მღვდელი ვიქტორი... მას ცოლ-შვილი თბილისში ჰყავდა. თვითონ აქვე, პატარა ქოხში ცხოვრობდა. სარკმელზე მინების მაგივრად ქაღალდი ჰქონდა გაკრული. მახსოვს, როგორ ვეზიარებოდი პატარა ბავშვი. მამა ვიქტორი ახალგაზრდებს წერა-კითხვის სასწავლებლად თავისთან იბარებდა ხოლმე. 1930 წელს თოფი ჰკრეს და დაჭრეს" (იხ. ცაგურიშვილი, 2007).

სოფლის თავში, შემაღლებაზე დგას ქსნის ერისთავთა საზაფხულო ციხე-სასახლე, რომელსაც, როგორც ხელოვნებათმცოდნე ნ. ერისთავი აღნიშნავს, ერთიანი კლდოვანი რელიეფის მიუხედავად, გალავანი ჰქონდა შემოვლებული. როგორც ჩანს, სასახლის მშენებლობა სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა: „შესაძლოა, ქვედა, სარდაფისა და ძირითადი სართულის გარკვეული ფრაგმენტები XVIII საუკუნეს ეკუთვნოდეს, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარს კი ნაგებობის დანარჩენი ნაწილი“ (ერისთავი, 2009). იკოთის საჯარო სკოლაში დაცული პასპორტის მიხედვით, რომელიც შედგენილია 1844 წელს, ირკვევა, რომ ერისთავებს სასახლის მშენებლობა 1840 წელს დაუსრულებიათ, ხოლო მისი ერთ-ერთი პირველი მფლობელი იყო გიორგი იესეს ძე ქსნის ერისთავი (ქენქაძე, 2016: 235). ქსნელ თავადს ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე ბატონიშვილი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი - ზაქარია და ქალიშვილები: ქეთევანი, ანა (თუთა), მარიამი. ზაქარია სამხედრო პირი იყო, პოლკოვნიკი და ზაქათალაში ლეკებთან ბრძოლას შეეწირა. უფროსი ქალიშვილი ქეთევანი ცოლად ჰყავდა მამუკა (მაკარ) ორბელიანს. სწორედ მათ ხვდათ წილად „იკოთის მამული“, რომელსაც ამშვენებდა ჯერ მომცრო სახლი, შემდეგ კი მასზე დაშენებული პომპეზური სასახლე (ქენქაძე, 2016: 244). ქეთევანი თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი ქალბატონი იყო, ახლო ურთიერთობა ჰქონია გიორგი ერისთავთან და აკაკი წერეთელთან. 1850 წლის 2 იანვარს კომედია „გაყრაში“ ითამაშა თათელას როლი, ხოლო 3 მაისს „დავაში“ - ლომისეულის როლი. „ადრე ისე სასირცხვილოდ მიაჩნდათ ჩვენში თეატრის სცენაზე გამოსვლა, რომ თავის მოჭრა ეგონათ. ვორონცოვის დროს, რომ „გაყრა“ ითამაშეს, პირველი მაგალითი კნეინა ქეთევანმა უჩვენა ყველას; ითამაშა და მით აგრძნობინა სხვებსაც, რომ აქ სასირცხვო არა არის რაო“ - წერდა აკაკი წერეთელი 1897 წლის გამოსათხოვარ წერილში (იხ. ქენქაძე, 2016: 244), დიდი პოეტი „კნეინა ქეთევანს“, იმ ძველი დიდების უკანასკნელ „ნიშთთაგანად“ მიიჩნევდა, „რომელთაც დღეს ვეღარა ვხედავთ და რომელთა თვისებას შეადგენდა მახვილი და გამჭრიახი გრძნობა-გონება, ხასიათის სიმტკიცით დაგვირგვინებული“ („აკაკის კრებული“, №4, 1897: 49).

სასახლის მესამე მფლობელი მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონი იყო. ვ. ქენქაძის მონათხრობით: „ჯამბაკურ-ორბელიანებმა მზითვში მოყოლილი იკოთის სასახლე და 7 ჰექტარი ბაღ-ვენახი 1906-1907 წლებში მიჰყიდეს თავის ნათესავს მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონს... იკოთის ახალი მფლობელი, სავარაუდოდ, 1902-1903 წლებიდან იყო გროდნოს ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკი, რომელიც 1921 წლის რევოლუციის შემდეგ ცხოვრობდა ქართლში თავის მამულში, სოფელ იკოთში. იგი ხალხში დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა ის დუშეთის მაზრის სამხედრო კომისრად დანიშნეს. თუმცა კომუნისტებმა უნდობლობის გამო, დაახლოებით 1925 წელს აღნიშნული თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ჩააბარეს ახალგორის ბანკი, სადაც ორი წლისთავზე მიუგზავნეს მასთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ვინმე ყიფიანი (ერთი ვერსიით თბილისში მცხოვრები კოწია ერისთავი) და კრედიტის სახით ბანკიდან 3000 მანეთი

გამოატანინეს. შემდგომ კრედიტორმა შეგნებულად ვალი არ დაფარა, რაც გახდა მიზეზი ბანკის მმართველის დაპატიმრებისა. საოლქო სასამართლოს მოთხოვნით, ქ. ცხინვალში ბადრაგის თანხლებით გადაყვანისას მიხეილ ბაგრატიონი ყანჩავეთის დასავლეთით სოფელ არმაზთან მოკლეს, რაც თავის დროზე მილიციელებმა გაქცევის მცდელობის აღკვეთით ახსნეს“ (ქენქაძე, 2016: 246-247). თ. ცაგურიშვილის მიხედვით, ქსნის ერისთავთა საზაფხულო სასახლე თავის დროზე შეუძენია ცნობილ თავადს გენო ქობულაშვილს და შემდეგ სიძე-ქალიშვილისთვის მიხეილ ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა და ნინო ქობულაშვილისთვის ქორწილის დღეს უჩუქებია. მიხეილი სიცოცხლის ბოლომდე ამ სასახლეში ცხოვრობდა (ცაგურიშვილი, 2007). იკოთის სასახლის ბოლო მფლობელმა სამი ოთახი სოფლის სკოლას დაუთმო, სადაც პირველი მასწავლებელი ჯერ მისი ქალიშვილი ლიზა, შემდეგ კი პელაგია მელაშვილი ყოფილა... ერისთავისეულ სასახლეში იკოთელი ბავშვები 1988 წლამდე ეუფლებოდნენ საშუალო განათლებას. მოგვიანებით სასახლე გაპარტახდა... 2003 წლის 10 ივნისს ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტის, ისაიას ლოცვა-კურთხევით სასახლეში წმინდა ბერის - ალექსი შუშანიას სახელობის დედათა მონასტერი დაარსდა, აიგო მცირე ზომის ეკლესია და სამრეკლო, მოეწყო სენაკები " (ცაგურიშვილი, 2007).

თვით სახელწოდება „იკოთი", ხალხური გადმოცემით, მამაკაცის საკუთარ სახელს უკავშირდება. აქ დასახლებული კიკოს მემკვიდრეები კიკოსშვილებად დაეწერნენ და სოფელსაც კიკოთი (შემდგომში იკოთი) დაერქვაო.

არაერთი სახელოვანი ადამიანის სტუმრობა ახსოვს იკოთს, სოფელში მოსახლე ფიცხელაურები ხშირად მასპინძლობდნენ დიდ ქართველებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ექვთიმე თაყაიშვილს, შიო არაგვისპირელს, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე რამდენჯერმე იმყოფებოდა ქსნის ხეობაში. ფიცხელაურების გარდა, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქსნის ერისთავებთან. დავით გიორგის ძე ერისთავს (1817-1890) „ძმაო დათიკო“-თი მიმართავდა და ხშირად აცნობდა როგორც შემოქმედებით გეგმებს, ისე პირად გრძნობებს“ (პავლიაშვილი, 2005 ბ: 5).

ილია ჭავჭავაძიის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი (1865-1933), ნიკოლოზ ბარათაშვილის დიშვილი, სწორედ მან გადასცა ილიას გამოსაქვეყნებლად ბარათაშვილის პორტრეტი, რომელიც ახალგორში პოეტის დასთან ეკატერინესთან ინახებოდა, დღეს ეს ფოტო დაკარგულად ითვლება.

ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთ გამორჩეულ პოეტს - აკაკი წერეთელს ცნობილი ლექსი - „აღმართ-აღმართ" ახალგორში დაუწერია. ლექსის დაწერის ადგილი ბარდანაულის აღმართია... (ახლოური, 2020: 5). ლექსს მითითებული აქვს - 1876, 1 იანვარი ს. ახალგორი... აკაკისთვის საზეიმო წვეულება ახალგორის მეზობელ სოფელ იკოთში, ფიცხელაურების ეზოში დღესაც მდგარ კაკლის ხესთან მოუწყვიათ...

გალაკტიონი 1938 წელს იმყოფებოდა ქსნის ხეობაში, სადაც მოუნახულებია ახალგორი, იკოთი და კორინთა (ქსნისპირელი, 1992: 4).

თითოეული ამ სახელოვანი ადამიანის საქმიანი სტუმრობა კეთილისმყოფელ კვალს ტოვებდა სოფლის კულტურულ ცხოვრებაში.

ცალკე საუბრის თემაა ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობა იკოთთან. დიდმა მეცნიერმა აქ ბევრ ისეთ ისტორიულ დოკუმენტს მიაკვლია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოს ისტორიის შესწავლაში. რად ღირს თუნდაც ქართული სამართლის უნიკალური ძეგლი „გარიგება ჴელმწიფის კარისა“, რომელსაც სწორედ იკოთში მიაკვლია (ცაგურაშვილი, 2007).

საინტერესოა თვითონ ექვთიმეს ცნობა ძეგლის შესახებ: „ხელნაწერი, რომელშიაც დაცულია გარიგება ხელმწიფის კარისა, ჩვენ ვიპოვნეთ რამოდენიმე წლის წინათ ქართლში მოგზაურობის დროს ერთ გაპარტახებულს სახლში და ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალწინ გამოგავეს ოთახიდან“ (თაყაიშვილი, 1920: 1-2). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ძეგლი პირველია, სადაც გიორგი მეფის სამართალი ცალკე სახითაა წარმოდგენილი, მანამდე გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ ჩვენთვის ვახტანგ მეექვსის სამართლის კრებულიდან იყო ცნობილი.

ე. თაყაიშვილმა ასევე იკოთში მიაკვლია ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობას, სხვა 35 სიგელ გუჯართან ერთად, რომლებიც „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" მუზეუმს დიდსულოვნად გადასცა ვახტანგ ივანეს-ძე ფიცხელაურის დედამ. ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საგანძური ინახებოდა ქსნის ხეობის ამ ისტორიულ სოფელში. ამ საგანძურის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სასულიერო პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ილარიონ ჯაში: „ბევრი გუჯრები მინახავს სოფელ იკოთში მცხოვრებელი აზნაურის ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურის სახლში... ამათ გუჯრებში ხშირად ნახავდით გიორგი XIII-ის მოწერილს ხელს და ბეჭედს. ეჭვი არ არის, რომ ამ გუჯრებში ბევრი საინტერესო რამე მოიძევება" (ქენქაძე, 2014: 53).

ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად ფიცხელაურების ოჯახში ინახებოდა ტყავზე დაწერილი „ვეფხისტყაოსანი" და ხელნაწერი გრამატიკა, რომლებიც ილარიონ ჯაშისთვის დედინაცვალს - იკოთელ ფიცხელაურის ქალს უჩუქებია. იმ დროს ჯაში თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე იყო, ხელნაწერი წიგნები ერთ-ერთ მასწავლებელს გამოურთმევია და აღარ დაუბრუნებია. ილარიონ ჯაშის მონათხრობით, დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაურს, შემდგომში მთავარეპიკოპოს დოსითეოზს „დაუტოვებია ორი შესანიშნავი ხატი. ერთი მათგანი, როდესაც გაყრილან ეს ოჯახი ივ. ფიცხელაურის ბიძაშვილს (ქალს) შეხვედრია და დუშეთის ეკლესიისათვის შეუწირავს, მეორე კი დღესაც იკოთის ეკლესიაში ასვენია. ეს ხატი მთლად წაჰგავს რაფაელის მადონას და გარშემო ნაწილებია წმინდანების, თუ არ ვცდები რიცხვით ოც-და-ოთხი. ამ უკანასკნელ ხატში ქსნის ერისთავს გიორგის, კნეინა ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანის მამას სამი სოფელი ყმითა და მამულით უძლევია დოსითეოზისათვის და მაინც არ მიუცია. ეს უთქვამს ჩემთვის ივანე ფიცხელაურს" (ქენქაძე, 2014: 53).

დასკვნა

ქსნის ხეობის ისტორიული სოფელი იკოთი მდიდარია, როგორც თავისი მრავალსაუკუნოვანი წარსულით, ისე იქ არსებული ეკლესია-მონასტრებით, ციხე-კოშკებით.

იკოთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებიდან აღსანიშნავია, გარდამავალი ხანის ახშადის წმინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს და წმინდა მარინეს ეკლესიები, მოურავ ფიცხელაურების საგვარეულო კოშკი და ქსნის ერისთავთა საზაფხულო სასახლეს...

მნიშვნელოვანი საგანძური ინახებოდა იკოთში არსებულ ეკლესიებში, მათ შორის წმინდა ხატები, ჯვრები, რომელთა შემომწირველებიც ცნობილ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ძირითადად, სოფლის მკვიდრნი იყვნენ.

სამწუხაროდ, კომუნისტური მმართველობის პერიოდში განადგურდა ტაძრების მოხატულობა, ეკლესიებიდან გამოტანილ ხატებს ტყვიას ესროდნენ და ქვებით აზიანებდნენ.

იკოთის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ აქ მცხოვრები ახალგორის მოურავები - ფიცხელაურები. სწორედ იკოთში, მიაკვლია ექვთიმე თაყაიშვილმა ქსნის ხეობის ისტორიის უნიკალურ წყაროს - ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებს, სხვა 35 სიგელ-გუჯართან ერთად. დოკუმენტები ეკუთვნოდა ვახტანგ ივანეს ძე ფიცხელაურის დედას, რომელმაც ექვთიმეს თხოვნით ყველა მათგანი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს შესწირა, სიგელ-გუჯრები დაბეჭდილია „საქართველოს სიძველენის“ მეორე ტომში.

ექვთიმემ იკოთში მიაკვლია ქართული კულტურის ისტორიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ძეგლს - „გარიგება ჭელმწიფის კარისა“.

დღეს ოკუპირებული სოფელი მკვიდრი ქართველების დაბრუნების მოლოდინშია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

akhlouri, d. (2020). akhalgoris toponimebi, ssip goris sakhelmtsifo sastsavlo universitetshi chatarebuli iakob gogebashvilisadmi midzgvnili merve saertashoriso sametsniero konferencia (ახლოური, დ. (2020). ახალგორის ტოპონიმები, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია)

akhlouri, d. (2023 a). ksnis kheobis sopel ikotis istoriidan, sakartvelos metsnierebata erovnuli akademiis macne (istoriis, arkeologiis, etnologiisa sa khelovnebis istoriis seria, №2). (ახლოური, დ. (2023 ა). ქსნის ხეობის სოფელ იკოთის ისტორიიდან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2

akhlouri, d. (2023 b). shida kartlis okupirebuli soplebis istoriidan (sopeli korinta – tsarsuli da dghevandeloba), ssip goris sakhelmtsifo universitetis saertashoriso

sametsniero zhurnali „istoria, arkeologia, etnologia", № IX. (ახლოური, დ. (2023 ბ). შიდა ქართლის ოკუპირებული სოფლების ისტორიიდან (სოფელი კორინთა. *წარსული და დღევანდელობა*), *სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია"*, № IX)

batonishvili vakhushti. (1973). aghtsera sameposa sakartvelosa. *Kartlis tskhovreba*. t. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier. tbilisi. (ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი).

dokumentebi sakartvelos sotsialuri istoriidan. batonkmuri urtiertoba (XV-XVll ss). (1940). n. berdzenishvilis redakciit. tbilisi: ssr kavshiris metsnierebata akademiis sakartvelos filialis gamomtsemloba. (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVII სს.). (1940). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა)

eristavi, n. (2009). XX saukunis kartul sasakhleta khurotmodzghvrebis istoriidan. sadoktoro disertatsia. tbilisi. (ერისთავი, ნ. (2009). XIX საუკუნის ქართულ სასახლეთა ხუროთმოძღვრების ისტორიიდან. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი)

takaishvili, e. (1920). „khelmtsipis karis garigeba". tfilisi. (თაყაიშვილი, ე. (1920) „ხელმწიფის კარის გარიგება". ტფილისი

tbilisis vilaietis didi davtari. (2009). 1728 tslis tbilisis vilaietis didi davtari. tsigni I. osmaluri teksti kartuli targmanit, shesavlit, gamokvlevita da faqsimileebit gamosacemad moamzades akad. sergi jikiam da prof. nodar shengeliam. tbilisi. (თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. (2009). 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბილისი)

otkhmezuri, g. (1996). shida kartlis mtianetis epigrafika. *osta sakitkhi*. gori-tbilisi: gamomtsemloba "pitagora". (ოთხმეზური, გ. (1996). შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. *ოსთა საკითხი*. გორი - თბილისი: გამომცემლობა „პითაგორა")

sakartvelos sidzveleni. (1909). ekvtime takaishvilis redakciit. t. II. tfilisi. (საქართველოს სიძველენი. (1909). ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. ტ. II. ტფილისი)

fondi 229(a). sakartvelos erovnuli arqivi. centraluri saistorio arqivi. fondi 229. davtari 4. sabuti №107. (ფონდი 229 (ა). საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 229, დავთარი 4, საბუთი № 107).

fondi 229(b). sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 229, davtari 24, sabuti №111. (ფონდი 229(ბ).საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 229, დავთარი 24, საბუთი № 111).

kenkadze, v. (2016). ksnis eristavebis sakartvelo. Tbilisi: gamomtsemloba „artanuji". (ქენქაძე, ვ. (2016). ქსნის ერისთავების საქართველო. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი").

ksnispireli, s. (1992). galaktioni da ksnis kheoba. gazeti *„ksnis samreklo"*. №30 (5603). 23 noemberi. (ქსნისპირელი, ს. (1992). გალაკტიონი და ქსნის ხეობა. გაზეთი *„ქსნის სამრეკლო"*. №30 (5603). 23 ნოემბერი).

akhalgoris munitsipalitetis arkitekturuli memkvidreoba. (2008). t.IV. tbilisi. (შიდა ქართლი. (2008). ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა. ტ. IV. თბილისი)

tsagurishvili, t. (2007). ksnis xeoba. Ikoti. zhurnali *"karibche".* 01.06.2007. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/2047-qsnis kheoba.html...). (ცაგურიშვილი, თ. (2007) ქსნის ხეობა. იკოთი. ჟურნალი *"კარიბჭე"*. 01.06.2007, http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/2047-qsnis-kheoba.html...)

javakhishvili, i. (1974). sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi (XIII-XIX). tsigni II. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba". (ჯავახიშვილი, ი. (1974). საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.). წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".)

Takaishvili, E. (1915). Arkheologicheskie ekskursii, raziskania i zametki. (Такайшвили, Е. (1915). Археологические экскурсии, Разыскания и заметки. Вып. V. Тифлис.)